

შპს ნეოლეთ და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის



შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	10
5. ამონაგები	13
6. თანამშრომელთა სარგებელი	13
7. სხვა საოპერაციო ხარჯები	13
8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
9. პირობითი ვალდებულებები	14
10. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	14

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		351,895	349,716
აქტივის გამოყენების უფლება		637,177	1,146,194
არამატერიალური აქტივები		58,365	589,490
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,047,437	2,085,400
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		101,354	148,876
საგადასახადო აქტივი		86,559	22,873
გაცემული ავანსები		71,871	95,835
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	204,071	194,232
ფული და ფულის ეკვივალენტები		173,708	41,171
სულ მოკლევადიანი აქტივები		637,563	502,987
სულ აქტივები		1,685,000	2,588,387
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,500	10,500
გაუნაწილებელი მოგება		382,446	748,440
სულ კაპიტალი		392,946	758,940
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		200,114	766,822
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		76,512	157,210
საიჯარო ვალდებულებები		515,374	351,781
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5	500,054	553,634
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,091,940	1,062,625
სულ ვალდებულებები		1,292,054	1,829,447
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,685,000	2,588,387

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ბუღალტერი



შალვა ჭელიძე

ანა გოგუა




შპს ნეოლეთი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	3,737,722	3,700,131
სხვა საოპერაციო შემოსავალი		53,953	40,000
		3,791,675	3,740,131
თანამშრომელთა სარგებელი	6	(1,728,344)	(1,246,768)
ცვეთა და ამორტიზაცია		(558,775)	(480,134)
ბანკის საკომისიო		(245,916)	(304,534)
კომუნალურები		(93,822)	(79,249)
ჩამოწერილი ბარათების თვითღირებულება		(48,491)	(49,487)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(1,356,015)	(794,931)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(239,688)	785,028
ფინანსური ხარჯები		(85,837)	(101,958)
საკურსო მოგება, ნეტ		(40,469)	16,008
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(365,994)	699,078
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(20,433)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		(365,994)	678,645

შალვა ჭელიძე
ანა გოგუა



	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	10,500	215,584	226,084
მთლიანი სრული შემოსავალი	-	678,645	678,645
დივიდენდი	-	(145,789)	(145,789)
31 დეკემბერი 2023	10,500	748,440	758,940
მთლიანი სრული ზარალი	-	(365,994)	(365,994)
31 დეკემბერი 2024	10,500	382,446	392,946

 შალვა ჭელიძე
 ანა გოგუა



	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(365,994)	699,078
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		558,775	480,134
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		557,660	-
ფინანსური ხარჯები		85,837	101,958
საკურსო სხვაობა		40,469	(16,008)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		876,747	1,265,162
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(9,839)	(5,535)
გაცემული ავანსების შემცირება		23,964	63,829
მარაგების (ზრდა)/შემცირება		47,522	(57,142)
საგადასახადო აქტივის (ზრდა)/შემცირება		(63,686)	79,772
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(53,181)	7,466
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)		(53,580)	190,370
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილ პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		767,947	1,543,922
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე		(85,837)	(101,958)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(20,433)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		682,110	1,421,531
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(72,441)	(177,335)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(33,548)	(510,743)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის		(105,989)	(688,078)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები		(436,613)	(445,463)
გადახდილი დივიდენდები		-	(295,789)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსური საქმიანობისთვის:		(436,613)	(741,252)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		139,508	(7,799)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		41,171	59,918
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(6,971)	(10,948)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		173,708	41,171

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნეოლეთი (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2018 წლის 11 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნეოლეთი წარმოადგენს ელექტრონულ საფულეს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ნეოლეთის ელექტრონულ სისტემაში უსაფრთხოდ და მარტივად აწარმოოს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ოპერაციები, ისეთი როგორიც არის:

- ნეოლეთის ბალანსზე თანხის შეტანა;
- კომუნალური გადასახადების გადახდა;
- მობილური ბალანსის შევსება;
- სხვადასხვა ელექტრონულ საფულეების ბალანსზე ფულის შეტანა;
- ნეოლეთის სხვა მომხმარებელთან ფულის გადარიცხვა;
- NCard-ით თანხის განაღდება საქართველოში არსებული ბანკომატების და POS ტერმინალების საშუალებით;
- ონლაინ სათამაშო ოპერატორების ბალანსზე თანხის შეტანა სალაროების და საბანკო ბარათების მეშვეობით;
- სხვა მომსახურებები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 16 ფილიალით საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც თბილისში, ასევე დიდ ქალებში - გორში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, თელავსა და ჭიათურაში.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება პარტნიორების გადაწყვეტილებით დანიშნული დირექტორის მიერ. კომპანიის დირექტორია შალვა ჭელიძე.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის იურიდიულ მისამართს წარმოადგენდა ალ. ჭავჭავაძის #10ა, სართული 1, თბილისი, საქართველო. 2025 წლის 28 მარტიდან კომპანიამ შეიცვალა მისამართი იურიდიული და ამჟამად არის ვაკის რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველას, N 71, ფართი ("ბ" კორპუსი) ნიშნული 32.10, სართული 11, ბინა N36, თბილისი, საქართველო.

კომპანიამ 2024 წლის 19 ივნისს დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს ნეოექსჩეინჯ, რომელშიც ფლობს 100%-ს. შპს ნეოექსჩეინჯს არ დაუწვია ოპერირება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მდგომარეობით, შესაბამისად კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენენ:

	2024	2023
გიორგი გოგუა	40.38%	40.38%
ნოდარი დურგლიშვილი	40.38%	40.38%
ლეილა დოლიძე	14.25%	14.25%
შალვა ჭელიძე	5.00%	5.00%
	100.00%	100.00%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფას-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

კომპანია 2025 წლიდან გადავიდა მსს ფას-ზე, რომლის ეფექტები არ არის გაშიფრული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. არსებითი გავლენა აღნიშნულ გადასვლას ექნება მხოლოდ იჯარების აღრიცხვაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხვები მოცემულია დამრგვალების გარეშე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-10 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).
- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება).
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება)
- კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება)

ეს ცვლილებები ფას-ების სხვადასხვა სტანდარტებში ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან. არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

- გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში)

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

- ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:
 - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა
 - ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

○ ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება.
- ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

- ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ ამ და სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას, განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების

განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წასრული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებულ საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონეზე.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიური შიდა რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად, რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის მოქნილობასა და კონკურენტუნარიანობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდება შემდგომი გადახდის პირობებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	204,071	194,232
ფული და ფულის ეკვივალენტები	173,708	41,171
	377,779	235,403

საკრედიტო რისკის მართვა რისკების მართვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან აცილების მიზნით კომპანია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს რათა აღმოაჩინოს და მართოს საკრედიტო რისკი ეფექტურად. მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიისთვის საკრედიტო რისკის მატარებლად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. კომპანიის მიერ მისი კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 30 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ფინანსური ვალდებულების ლიკვიდურობა უტოლდება 12 თვეს, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილისა რომელთა დაფარვის ვადა 1-დან 5 წლამდეა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული

ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების ცვლილებაზე. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები ან აქტივები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსების შესაბამისად. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	204,071	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	171,278	2,430	-
	375,349	2,430	-
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	76,512	-	-
საიჯარო ვალდებულებები	71,282	644,206	-
	147,794	644,206	-
ღია საბალანსო პოზიცია	227,555	(641,776)	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	194,232	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	35,338	5,774	59
	423,802	5,774	59
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	157,210	-	-
საიჯარო ვალდებულებები	133,429	985,174	-
	290,639	985,174	-
ღია საბალანსო პოზიცია	133,163	(979,400)	59

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(128,355)	128,355	(195,880)	195,880

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. ამონაგები

კომპანიის ძირითად ამონაგებს წარმოადგენს Ncard-ის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, ტრანზაქციის მოხდენის შესაბამისად, ხოლო სარეკლამო მომსახურების გაწევა ხდება დროთა განმავლობაში. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები და სახელმწიფოებრივი ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან მომხმარებლებთან არსებულ ნაშთებს საგადასახადო მომსახურების გაწევის შედეგად. ფინანსური მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

6. თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა სარგებელი მოიცავს ფილიალებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასებსა და ბონუსებს, ასევე დაზღვევისა და ფიტპასის ხარჯებს.

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს სამეურნეო, ინკასაციის, პროგრამული უზრუნველყოფის, დაცვის სამსახურის და სხვა საოპერაციო ხარჯებს. 2024 წელს აქ ასევე ხვდება 2023 წელს აღიარებული არამატერიალური აქტივების ჩამოწერა 510,743 ლარით. აღნიშნული აქტივი იქმნებოდა კომპანიის შიგნით და იმყოფებოდა განვითარების ფაზაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2024 წელს მენეჯმენტმა იმსჯელა და ჩათვალა, რომ აღნიშნული დანახარჯები აღარ აკმაყოფილებს ბასს 38-ის მიხედვით აღიარების კრიტერიუმებს, შესაბამისად ჩამოწერა ხარჯებში.

8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წელს არ ჰქონია ოპერაციები, ხოლო 2023 წლის ოპერაციას წარმოადგენს მხოლოდ დივიდენდის გადახდა დამფუძნებლებისთვის.

9. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუალებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 57,367 ლარი.

10. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის ძირითად ამონაგებს წარმოადგენს საკომისიო შემოსავალი და მისი აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, ვინაიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულება და კონტროლის გადაცემა ხდება პირების მიერ ტრანზაქციის განხორციელების მომენტში.

ყველა ხელშეკრულებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ტრანზაქციებზე განსაზღვრული ფიქსირებული პროცენტებით, რომელიც განისაზღვრება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით და რომელიც პერიოდულად შესაძლოა შეიცვალოს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებების პირობების მიხედვით კომპანია კლიენტისგან იღებს ავანსებს, თუმცა არ ითვალისწინებს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, რადგან იგი არ სცილდება 1 წელზე მეტი პერიოდით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე.

თითოეული მომსახურების გაწევის დროს, კომპანიას წინასწარ აქვს შეთანხმებული ფასები. აქედან გამომდინარე კომპანიას არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეკვეთისთვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მიწოდებული პროდუქტის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯებში აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული

გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

კომპანია იჯარით აღრიცხავს ხელშეკრულებას ან ხელშეკრულების ნაწილს, როდესაც გადმოეცემა აქტივის გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

ხელშეკრულება შეიცავს იჯარას თუ კმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) იდენტიფიცირებულია აქტივი;
- ბ) კომპანია იღებს აქტივის გამოყენებიდან პრაქტიკულად მთელ ეკონომიკურ სარგებელს;
- გ) კომპანიას აქვს აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

კომპანია განიხილავს, აქვს თუ არა მიმწოდებელს არსებითი ჩანაცვლების უფლებები. თუ მიმწოდებელს აქვს ეს უფლებები, ხელშეკრულება არ წარმოქმნის საიჯარო ურთიერთობას.

იმის დასადგენად, იღებს თუ არა კომპანია არსებითად ყველა ეკონომიკურ სარგებელს აქტივის გამოყენებიდან, კომპანია განიხილავს მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება აქტივის გამოყენებით, და არა იურიდიული საკუთრების ან სხვა პოტენციური სარგებელის შემთხვევით.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა კომპანიას აქტივის პირდაპირი გამოყენების უფლება, კომპანია განიხილავს, იღებს თუ არა გადაწყვეტილებას თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რადგან ისინი წინასწარ განისაზღვრება აქტივის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია განიხილავს იყო თუ არა იგი მონაწილე აქტივის დიზაინის შექმნაში ისე, რომ წინასწარ განისაზღვროს, თუ როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების ან ხელშეკრულების ნაწილი არ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, კომპანია იყენებს სხვა მოქმედ ფასს-ს და არა ფასს 16-ს.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო

გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როდესაც კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- ჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება ცალ-ცალკე.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და

ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც:

ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და

ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

იჯარების პორტფელური აღრიცხვა

კომპანია მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელს აღრიცხავს გამარტივებული მიდგომის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ იქნება პორტფელის შემადგენელი ცალკეული

ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, კომპანია იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

კომპანია იყენებს ერთი დისკონტირების განაკვეთს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში და ნომინირებულია ერთიდაიგივე ვალუტაში).

საიჯარო ხელშეკრულებების სპეციფიკაცია (კომპანია როგორც მოიჯარე)

კომპანიას იჯარით აქვს აღებული კომერციული ფართები მთელი საქართველოს მასშტაბით რომელთა მეშვეობითაც ოპერირებს. იჯარები დიფერენცირებულია და მათ აქვთ შეწყვეტისა და გაგრძელების უფლებები. მენეჯმენტი ყოველი წლის ბოლოს მიმოიხილავს თავის ბიზნეს-საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შეფასების ცვლილებას პორტფელურად აღრიცხული იჯარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მიხედვით იჯარის ვადები განსხვავებულია, კომპანიის ბიზნეს-საქმიანობიდან გამომდინარე მათ აღრიცხვის მიზნებისთვის მინიჭებული აქვთ საერთო ვადა, ვინაიდან ერთი მხრივ მენეჯმენტის მოლოდინია, რომ მოხდება საიჯარო ვადის გაგრძელება (რიგ შემთხვევებში განახლების უფლებას გულისხმობს ჩვეულებრივი ბიზნეს-პრაქტიკა), ხოლო, მეორე მხრივ იქიდან გამომდინარე რომ ეს ლოკაციები უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ სტაბილურობას.

ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებები ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება მეიჯარეებთან. ამ მოლაპარაკებების შედეგებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან განისაზღვრება საიჯარო პირობები და გადახდის პირობები (ფიქსირებული ან ცვლადი).

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნესმოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული ეხება ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც კომპანიის მოთხოვნების შემთხვევაში ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. კომპანიის ფინანსური აქტივები არ არის გაუფასურებელი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და საიჯარო ვალდებულების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გაქვითულია ერთმანეთში და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩათვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და

ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. საუკეთესო მტკიცება რეალური ღირებულებისა არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, საიჯარო ვალდებულებების - მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის 20%-იანი განაკვეთით.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ლიცენზიებს. კომპიუტერული პროგრამებისა და

ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 10 საანგარიშგებო წელზე, გარდა საქმიანობის ლიცენზიისა, რომელიც არის უვადო.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების ფინანსური ანგარიშგების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული

ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტ საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, აღწერილია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია შენატანის სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდების დამტკიცება ხდება მფლობელთა მიერ საერთო კრებაზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შემდგომ ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები აქტივებია, რომლებიც მარტივად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ განმარტებით შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.